№ 249 მთავრობისმოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 1 მან. სამშაბათი 4 ნოემბერი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალით, № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახელმწიფო თეატრი

**ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.**

სამშაბათს, ნოემბრის 4-ს, რისის, გლაზის, მარკოვის, ინაშვილის, ისეცკის და დემიანენკოს მონაწილეობით **აიდა.** ოთხშაბათს ნოემბრის 5, მ. ი. ალეშკოს მონაწილეობით **„ტოსკა"**. ხუთშაბათს, ნოემბრის 6, **„ტრავიატა"**. პარასკევს, 7 ნოემბ. ალეშკოს მონაწილეობით **„ტრუბადური"**. შაბათს, ნოემბრის 8, ოპერა მუშებისათვის **„ურიის ქალი"** კვირას—ნოემბერის 9, **„ჰოფმანის ზღაპრები"**.

76 1—1

## ა ნ ო ნ ს ი.

### ტფილისის არტისტიული თეატრი

ოთხშაბათს გიორგობისთვის 12-ს 1919 წ. საქართ. ცენტრ. კოოპერატ. კავშირის დრამატიულ სტუდიის წარმოდგენა

### 1. ჰანელე ჰაუპტმანისა
### 2. რომანტიკოსნი.

ედ. როსტანისა.

შემდეგ **ავგაროზი.** რეჟისორი **მ. ქორელი.**

## ქართველ მხატვართა საზოგადოების შემოდგომის გამოფენა.

1. **ქართველ მხატვართა საზოგადოება მართავს მხატვართა საერთო გამოფენას.**
2. გამოფენაზე მონაწილეობა შეუძლია მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მხატვარს.
3. გამოფენაზე მონაწილეობის მოსურნე მხატვარი ვალდებულია ჩაეწეროს განსაკუთრებულ სიაში საზოგადოების სადგომში (რუსთაველის პრ. № 13). ნოემბრის 4—10-მდე 5 საათ. 7 საათამდე.
   ა) კომიტიის მიზანი არის შეძლება მისცეს მხატვართ გამოფენაზე შეჯგუფებისა მიმართულების მიხედვით.
4. გამოფენისთვის სურათების მიღება ხდება ნოემბრის 10—15-მდე დღის 12 ს.—2 საათ.
5. ვერნისაჟის დღე გამოცხადებული იქნება საგანგებოთ.
   ა) განსაკუთრებული მოწვევის ბარათები მხატვრებს არ დაეგზავნებათ.

გამოფენის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე **შ. ქიქოძე.**

მდივანი **დ. შევარდნაძე.**

7—1

## საქართველოს რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზების

საექსპლოატაციო ნაწილი ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 29 ოქტომბერს ამა 1919 წ. გზათა მინისტრის განკარგულებით გაიხსნა დროებითი მოძრაობა სადგურებ ახალ ხენაკისა და ხუთას შუა. დღეში ივლის ორი წყვილი სახალხო მატარებლები მეორე და მესამე კლასის ვაგონებით. შემოღებულია დროებითი ტარიფი: მესამე კლასის ვაგონში ერთ მანძილზედ 10 მანეთი, მეორე კლასის ვაგონში 15 მანეთი; ბარგზედ ფუთზედ 3 მან. ყველა სამხედროთ გადასახადები და მათ შორის წითელი ჯვრის სასარგებლოთაც უკვე შემოღებულია აღნიშნულ ფასებში. ცნობები საქონლის მიღება-გზავნის შესახებ გამოცხადებული იქნება შემდეგში.

72 72 3—1

## საქართველოს რესპუბლიკის სამთო სამმართველო საყოველთაოდ აცხადებს:

I

რადგან ჯერ-ჯერობით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზედ მოქმედებს რუსეთის სამთო წესდება (მე VII ტომი კანონთა კრებულისა), რომელთა განმარტებით სენატმა 1912 წლის № 96 და 1913 წლის № 28 გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ მიწის გულზედ (მადნეულობაზედ) უფლებათა გადაცემისთვის საჭიროა ორი პირობის შესრულება: ერთი—ნოტარიულ აქტის შედგენა და მეორე ამ აქტის აღნიშვნა (რეგისტრაცია) სამთო სამმართველოში, და რადგან აქტების ასეთი რეგისტრაცია დღევანდლამდინ არა სწარმოებდა, ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის სამთო სამმართველო ამით აუწყებს ყველა იმ პირთა, ამხანაგობათა და საზოგადოებათა გამოუნაკლისად უცხოელთა და უცხოელ ამხანაგობათა და საზოგადოებათა, რომელთაც მოპოვებული აქვთ ესა თუ ის უფლება მიწის გულის დამუშავებისა, რომ ყველა ესენი ვალდებულნი არიან დღიდგან ამა განცხადების გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდვისა, ორი თვის ვადაზედ წარმოადგინონ სარეგისტრაციოდ სამთო სამმართველოში ყველა ხელშეკრულებანი, ან სხვა აქტები, რომელთა ძალით მათ მოუპოვებიათ უფლებანი მადნეულობის დამუშავებისა, როგორადაც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო პირთა კუთვნილ მიწებისა.

II

იმავე ორი თვის ვადაზე წარმოდგენილ უნდა იქნან სამთო-სამმართველოში მოწმობანი მადნეულობის გამოსაკვლევად მიცემულ ნებართვისა და აქტები მათთვის გამოყოფილ სახელმწიფო მიწიდან ნაჭრებისა ამ მადნების დასამუშავებლად და აგრეთვე ის ნებართვანი, რომელნიც სამთო-სამმართველოს გაუცია მრეწველთათვის მათი საკუთარი მიწის გულის დასამუშავებლად. **შენიშვნა:** ზემოდ აღნიშნული დოკუმენტები და პლანები წარმოდგენილ უნდა იქნენ თავიანთი ასლებით.

15 2—1

## ოფიციალური განყოფილება.

## განკარგულებანი

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.**

28 ოქტომბერი, 1919 წ., № 255.

**დამტკიცებულ იქნას** სახელმწიფო ქალაქების დასაბეგრებელ ექსპედიციის ბუხჰალტრად ალექსანდრე ივანეს ძე ბაქრაძე ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხ. **ს. ავალიანი.**

—

29 ოქტომბერი, 1919 წ., № 257.

**შეუდგეს** თავის მოვალეობის აღსრულებას ბაქოდან დაბრუნებული ნ. ი. პოლისადოვი ამა წლის 25 ენკენისთვიდან.

ფინანსთა მინისტრი **კ. კანდელაკი.**

—

30 ოქტომბერი, 1919 წ., № 258.

**დაინიშნოს** შორაპნის მაზრის პირველ უბნის გადასახადთა ინსპექტორის თანაშემწეთ სიმონ დავითის ძე კლდიაშვილი ამა წლის 1 ნოემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხ. **ს. ავალიანი**

№ 259.

**დაევალოს** ინჟინერ ნ. ი. პოლისადოვს გაემგზავროს ქ. ბაქოში საქმეების გამო ამა წლის 17 ენკენისთვიდან.

ფინანსთა მინისტრი **კ. კანდელაკი.**

—

**იუსტიციის მინისტრისა.**

30 ოქტომბერი, 1919 წ., № 247.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან თანახმად თავისი თხოვნისა კანცელარიის პირველი განყოფილების უფროსი სევერიან ნესტორის ძე ფაღავა ა/წ. ნოემბრის 1-დან.

მინისტრის მაგ. **ნ. ქიქოძე.**

დირექტორი **გ. ჟორდანია.**

31 ოქტომბერი, 1919 წ. № 151.

**იგზავნება:** ბორჯომის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი აბაშიძე ქალ. ტფილისის მე-10 უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის ნოემბრის 1-დან.

მინისტრის მაგ. **ნ. ქიქოძე.**

დირექტორის მაგ. **დ. წითლანაძე.**

№ 248.

**იგზავნება:** ოჩემჩირის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად სასამართლოს თანამდებობათა უნცროსი კანდიდატი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე სეკავინი ა/წ. ნოემბრის 1-დან.

№ 249

**იგზავნება:** გაგრის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღსასრულებლად სასამართლოს თანამდებობათა უნცროსი კანდიდატი სერგეი ანდრიას ძე პოლიაკოვი ა/წ. ნოემბრის 1-დან.

№ 250.

**იგზავნება:** ტფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ტფილისის მე-10-ე უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ვლადიმერ ევგენის ძე დილევსკი ამა წლის ნოემბრის 1-დან.

მინისტრი **ე. გეგეჭკორი.**

დირექტორის მაგ. **დ. წითლანაძე.**

—

**ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.**

22 ოქტომბერი, 1919 წ., № 60.

**დანიშნულნი არიან:** მესამე ხარისხის მოხელე ჩოხატაურის განყოფილებისა ქარსუნ (არსენ) ლორია დიდი-ვანის განყოფილების უფროსად—, ზედამხედველი დაბალი ჯამაგირისა ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა ნიკოლოზ ვერბა—ზედამხედველად უფროსი ჯამაგირით იმავე კანტორაში, სოხუმის კანტორის მეხუთე ხარისხის მოხელე ალექსანდრე შენგელია ანაკლიის ფოსტის განყოფილების უფროსად.—ანაკლიის ფოსტის განყოფილების უფროსი სერგო ნარმანია მესამე ხარ. მოხელეთ ფოთის კანტორაში, ლორია 21 ოქტომბრიდან, შენგელია და ნარმანია 1 ნოემბრიდან 1919 წ.

**გადაყვანილნი არიან:** ზედამხედველი ტფილისის ტელეფონის ქსელისა ნიკოლოზ ტატიევი, მეორე განყოფილების მეოთხე ხარ. მოხელე, დროებით დაქირავებული მნაცაკ ნალდიანცი და ფოსტალიონები: ალექსანდროვის განყოფილებისა, სევერიან უჯმაჯურიძე, ჭიათურის—პლატონ შენგელია, ევლახის ვასილ გოგიშვილი და ლაგოდეხის არტემ ვალიშვილი იმავე წოდებით: ტატიევი და გოგიშვილი გაგრაში, ნალდიანცი—დედოფლის წყაროზედ, უჯმაჯურიძე—ჭიათურაში, შენგელია სამტრედიაში და ვალიშვილი ტფილისის ფოსტის კანტორაში. სულ ყველა 21 ოქტომბრიდან 1919 წ., მხოლოდ ტატიევი და შენგელია თანახმად თხოვნისა.

**დათხოვნილია სამსახურიდან:** ფოსტალიონი აბასთუმანის კანტორისა პავლე ინასარიძე 21 ოქტომბრიდან 1919 წ.

ოლქის უფროსი **მგელაძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება

## მთავრობაში

**ძველ თანამდებობაზე დაბრუნება.**

ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი კობიაშვილი, რომელსაც, თანახმათ მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებისა დროებით დავალებული ჰქონდა ტფილისის საგანგებო სასამართლოს წევრის მოვალეობის ასრულება, სესიის დამთავრების გამო, განთავისუფლებულ იქნეს აღნიშნულ თანამდებობიდან და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას ამ წელს 15 ოქტომბრიდან.

**სასოფლო სამეურნეო კურსები.**

მიწათ მოქმედების სამინისტროს სამ სემესტრიან სასოფლო სამეურნეო კურსების ოთხსემესტრიანათ გადაკეთების შესახებ და კურს დამთავრებულთათვის აგრონომის წოდების მინიჭების შესახებ მიღებულ იქნეს და შესაფერი დეკრეტის წარდგენა დამფუძნებელ კრებაში დაევალოს მიწათ-მოქმედების მინისტრს.

**საძოვარი ადგილები სახნავათ.**

კანონ-პროექტი საძოვრების სახნავათ ვარგის ნაწილს მცხოვრებთათვის საკუთრებათ გადასაცემ ფონდში გადარიცხვისა მიღებულ იქნეს და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**ჯარისთვის მომარაგება.**

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 15 მილიონი მან. (სამინისტროს 1919—20 წ. ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში) ერთ დროულათ ჯარისათვის საჭირო პურისა და სურსათის დასამზადებლათ. შესაფერი დეკრეტი წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას სამხედრო მინისტრის მიერ.

**გამომძიებელთა მოვალეობიდან განთავისუფლება.**

ტფილისის სასამართლო პალატის საგანგებო საქმეთა გამომძიებელი მ. ა. გრაევსკი და ამავე სასამართლოს პალატის ბრალმდებელის ამხანაგი ი. ს. კალვაიტი სახელმწიფო ენის უცოდინარობის გამო განთავისუფლებულ იქნენ თანამდებობიდან ა/წ. ნოემბრის პირველიდან სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემით.

# შინაგან საქმეთა მინისტრის ბ-ნ ნოე რამიშვილის სიტყვა უკანასკნელ ამბების შესახებ.

მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო! ვინც მიუდგომლად გადაავლებს თვალს უკანასკნელ ამბებს და მას ჯეროვანად ასწონდასწონის, მისთვის უეჭველი იქნება ერთი გარემოება, რომ ამ გამოსვლების დროს ჩვენ საქმე გვაქვს არა იმ ძალებთან, რომელნიც გამოწვეულნი არიან ჩვენ შინაურ სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების განვითარებით, არამედ უცხო ძალებთან, რომელნიც ჩვენში შემოიჭრენ უცხო სახელმწიფოდან და ცდილობენ სხვისი ხელით, მეტი უნდა ვთქვა, სხვისი სისხლით, თავის შავბნელი მოქმედების გაჩაღებას; ჩვენ დამოუკიდებლობას, სახელმწიფოებრიობას ვერ ურიგდებიან: ერთის მხრივ რეაქციის მესაიდუმლენი და მეორის მხრივ ეგრედ წოდებულნი წითელ ხიშტებზე დაყრდნობილი ჯგუფები, რომელნიც ერთნაირ გაბედულებით და ენერგიით ებრძვიან ჩვენ დამოუკიდებელ ცხოვრებას, იცავენ ძველ მფლობელობას და ცდილობენ განთავისუფლებულ ერთა კვლავ დამონებას.

საქართველოს ერმა არა ერთხელ შესძლო უკუქცევა ხმალ ამოღებულ გარეშე მტრისა, ეს არა ერთხელ დაამტკიცა იმ ბრძოლაში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით გარეშე მტერთან და ეს გარეშე მტრები იძულებულნი არიან თავის ტაქტიკა შესცვალონ და მიზნად დაისახონ ჩვენი სახელმწიფოებრიობის ცეცხლით შიგნიდან გასტეხონ, რომ ამ გზით ჩვენში გააჩაღონ ანარქია და ამ ანარქიის ტალღებში ჩაახრჩონ ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო. მე მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს დამფუძნებელი კრების და ხალხის წინაშე გადაჭრით განვაცხადო, რომ სწორედ ასეთ მიზანს ისახავენ მოხალისეთა ლაშქრის აგენტები ჩვენში, რომელნიც დიდ სახელმწიფოებს არწმუნებენ, თითქოს ჩვენი სახელმწიფო წესწყობილება ბოლშევიკურია, ჩვენი საზოგადოებრივი პოლიტიკური საქმიანობა ანარქისტულია და ამიტომაც საჭირო არის, რომ ჩვენში შემოვიდეს უცხო ძალა შავი რეაქციის სახით, რომ ბოლშევიკური მოძრაობა მოსპონ და აღადგინონ ჩვენში წესრიგი. ასეთ პირობებში თავის თავად ბუნებრივი არის ლტოლვილება, რომ ჩვენში გაძლიერონ ანარქია და მით გზა გაუკაფონ დემოკრატიულ საქართველოში ჩრდილოეთიდან რეაქციონურ ტალღის შემოჭრას და ჩვენი დამოუკიდებელი ცხოვრების აღკვეთას.

მოქალაქენო, კიდევ უფრო აშკარა არის ჩვენთან დამოკიდებულება კომუნისტურ რუსეთისა. თქვენ იცით, რომ ის მარცხდება ევროპიულ რუსეთში და რანაირიც უნდა იყოს მისი მდგომარეობა, ერთი რამ აშკარა არის: მისი ძალები იქ სუსტდება და იძულებული არის თავისი ბაზა სხვა ქვეყნებში გადაიტანოს. ასეთი ბაზა არის აზიის საშფლობელოები. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თურქესტანის ფრონტს და თავისი ბაზა თურქესტანთან ერთად გადმოიტანა ჩვენშიაც, რომ აზიური ქვეყნები გაამხედრონ, ვინაიდან მათ კარგად იციან, რომ კომუნისტურ ექსპერიმენტებს უფრო მეტი ნიადაგი აქვთ არა კულტურულ ქვეყნებში, არამედ ჩამორჩენილ აზიურ ქვეყნებში (ტაში მარჯვნივ. გვაზავა: მართალია). ნუ თუ თქვენთვის სადავო იყო, ნუ თუ თქვენ ის არ იცოდით, რომ ის ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ ბოლშევიკურ რუსეთში, სწორედ შეესაბამება ჩამორჩენილ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას და არა ევროპიულ კულტურულ ცხოვრებას, განა ეს არ იცოდით?! (რეპლიკა: თქვენ არ იცოდით?) ხმაურობა.

**თავმჯდომარე:** გთხოვთ ნუ უშლით ორატორს.

**შინ. საქმ. მინისტ:** ამით აიხსნება ის ცდა, რომ სწორედ ამ კომუნისტურ ექსპერიმენტებისთვის ახალი ბაზა გაიჩინონ და ასეთ ახალ ბაზას წარმოადგენს თურქესტანი. და თქვენ იცით, რა მნიშვნელობას აძლევენ ისინი ამ აზიურ ქვეყნებს, ასეთი სტრატეგიულ მოსაზრებით, რომელიც გამომდინარეობს ამ ჟამად ბოლშევიკურ მთავრობის სამხედრო ასპარეზის მდგომარეობიდან, აიხსნება ის გარემოება, რომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჩვენ ქვეყანას და სცდილობენ აქ თავისი ბაზა გადმოიტანონ. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი გზავნიან ჩვენში მრავალ აგენტებს დიდ-ძალი თანხით და ავალებენ ყოველნაირი საშუალებით დასცენ დემოკრატიული წყობილება აქ და აafრიალონ დროშა საბჭოთა მთავრობისა, და შექმნან ისეთი მდგომარეობა, როდესაც ხიშტებით და ამა იდეით შესძლებენ ისინი ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წყობილების დამხობას. და აი სწორედ ამ ძალთა ლტოლვილებით აიხსნება ის გამოსვლები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჩვენში. იბადება კითხვა: როგორ შეიძლება უცხო სახელმწიფოები შემოიჭრნენ ჩვენში და თავიანთი გეგმები განახორციელონ? მე ვამბობ: ჩვენ ფაქტიურად ომს გვიცხადებს გარეშე ძალა, რომელიც ეყრდნობა არა ადგილობრივ ელემენტებს და მისთვის ყოველნაირი საშუალება მისაღებია. ის მოქმედებს ამ შემთხვევაში ისე, როგორც მოქმედებს უცხო სახელმწიფო, როდესაც ის შეიჭრება რომელიმე დაპყრობილ კუთხეში და ეძებს აგენტებს, მიუხედავად იმისა, რანაირიც უნდა იყვნენ ისინი და სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მათ აიყოლიეს, გამოძებნეს ეს ელემენტები: საზოგადოების ყველა ნაძირალებიდან. თქვენ იცით, რომ ეს დამტკიცდა ნამდვილად. მათ შეაიარაღდეს ამ გამოსვლების დროს მოსყიდული უცხო ელემენტები, ჩინელები და რამოდენიმედ რუსეთიდან მოსული სხვა ძალები, ეს დამტკიცდა სამტრედიის რაიონში, შემდეგ: მათ თავის სამსახურში მოიწვიეს ცნობილი ყაჩაღები, ეს დამტკიცდა მაშინ, როცა ჩვენ გავიგეთ, რომ ინგლისელი ექიმის მკვლელი ცნობილი ყაჩაღი, ვინმე პაიჭაძე, მათთან არის და ასრულებს ტერორისტულ დავალებებს. ეს გამოირკვა მაშინ, როცა შეპყრობილ იქნა თიანეთში ვინმე ჯორბენაძე, რომელსაც აღმოაჩნდა სია ბოლშევიკებისა, რომელთა დიდი ნაწილი აღმოჩნდა თიანეთის მაზრის ცნობილი ყაჩაღები და აგრეთვე დუშეთის ციხიდან გამოქცეულები. ერთი გარემოება არის კიდევ: თქვენ იცით რომ გურიაში იქნა შეპყრობილი 22 ყაჩაღი, რომელთაც გაძარცვეს გემი „მარია“. და მე აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია განვაცხადო ერთი გარემოება, რომელსაც მეტის მეტი დამახასიათებელი მნიშვნელობა აქვს. ისინი შეპყრობილნი იყვნენ იმიტომ რომ გურიის სოფლებში შესვლისას ისინი ეძებდნენ ბოლშევიკებს. ხალხმა ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება, მათ დაედევნენ და შედეგი თქვენ იცით. აქედან დამტკიცდა, რომ ეს ყაჩაღები ამა თუ იმ გზით ბოლშევიკებთან იყვნენ დაკავშირებულნი. ჩვენ ვიცით, რომ ლაგოდეხის გამოსვლაში დიდ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ცნობილი ყაჩაღი, ვინმე პეპო, რომელიც ერთი მეთაურთაგანი იყო ამ აჯანყებაში. და თუ ყველა ამას ჩვენ მხედველობაში მივიღებთ, მაშინ აშკარა იქნება, რომ ბოლშევიკურ გამოსვლებისთვის სულ ერთი იყო, ვინ მიიღებდა მონაწილეობას ამ გამოსვლებში. მათთვის საჭირო იყო მხოლოდ ერთი რამ, რომ ხელი შეეწყოთ იმ გეგმის განხორციელებისთვის, რომელსაც იმუშავებს მოსკოვის სოვნარკომი და მისი ადგილობრივი აგენტები ამ მიზნის განსახორციელებლად შეუკავშირეს ყაჩაღები სხვა მოსყიდულ ელემენტებს და მოახდინეს გამოსვლა. ერთი გარემოება არის კიდევ აღსანიშნავი, რომ ყაჩაღების და ბნელ ელემენტების ფაქტიურ ხელმძღვანელად გამოდგა აგრეთვე ცნობილი შანტაჟისტი ქოროღლი—ილიკო მგელაძე რომელსაც დატუსაღების დროს აღმოაჩნდა გეგმა აჯანყებისა აქ ქალაქში. ის სხვათა შორის შეპყრობილ იქმნა იმ ცნობებით, რომელიც მივიღეთ თიანეთის მაზრაში მის მიერ გაგზავნილ აგენტის წყალობით. მე საჭიროდ მიმაჩნია აქ განვაცხადო, რომ, გარდა ყაჩაღებისა, რომელზედაც მოგახსენეთ, მათ რაზმს ამშვენებდნენ დეზერტირები, მეტს ვიტყვი—ყაჩაღების დიდ ნაწილს დეზერტირები შეადგენდნენ, გარდა ამისა მათ რაზმში ირიცხებიან მეფის ყოფილი ოფიცრები, მეზღვაურთა კავშირის ფაქტიური ხელმძღვანელი დენიაგა და ოთხიც ქერჩიდან მოსული მეზღვაური ოფიცერი. ისინი ისეთი ელემენტები არიან, რომელნიც ფერ უმარულს იცვლიან: დღეს დენიკინის აგენტები გახლავან, ხვალ ბოლშევიზმის იდეოლოგებად გამოდიან· საერთოთ კი სხვა და სხვა პერტრობაციის დროს თავისი ძნელი მოღვაწეობით და შავი საქმეებით ცდილობენ შექმნან ანარქია სვენ სახელმწიფოში და ამით ხელი მოითბონ და მისცენ საშუალება საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ელემენტებს მათი შავი ზრახვანი განახორციელონ. აი სწორედ ეს უკანასკნელი ელემენტი იყო ის ნაწილი ამ გამოსვლაში, რომელიც უკავშირებდა ორს ერთი შეხედვით სხვა და სხვა სოციალურ მიმართულების მატარებელ ჯგუფს ბოლშევიკებს და დენიკინელებს, სწორედ ისეთ პირობებში შესდგა სრულიად ბუნებრივად ბლოკი, რომელშიაც თქვენ ბოლშევიკების გვერდით ხედავთ დენიკინის აშკარა აგენტებს და ამავე დროს ყაჩაღებს, დეზერტირებს და ქურდბაცაცებს. და სწორედ ეს გარემოება გვაძლევს ჩვენ გასაღებს იმ გამოსვლებისას, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში. აქ შეერთდა სხვა და სხვა ელემენტები სხვა და სხვა მიდრეკილებით, მათ აერთებს ერთი რამ: ანარქიის გაღვივება და ამ ანარქიიში ჩვენი სახელმწიფოს დასამარება. ხოლო რა გზით მოხდება ან სად უნდა დაეწყოთ ასეთი გამოსვლები, ამას ერთი ელემენტისთვის—ბოლშევიკებისთვის — განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ელემენტებისთვის, რომელიც მიწოლა ჩვენს სახელმწიფოს დაწუცდის ხელსაყრელ მომენტს ჩვენზე გამოლაშქრებისათვის. და აი აქ არის ახსნა იმ გარემოებისა, რომ ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრა ამ ძალამ ჯერ სოხუმში და მერე ყველაზე უფრო დიდ გამოსვლას აპზადებდნენ ფოთში. და, თუ თქვენ ჩაუკვირდებით ამ ქალაქის მდებარეობის სტრატეგიულ მნიშვნელობას, თქვენთვის აშკარა იქნება; შედეგი: ერთი წუთით წარმოგვიდგინოთ რომ ეს გამოსვლა მათი გამარჯვებით დამთავრებულიყო და ის ელემენტები, რომლებიც იბრძვიან ჩვენი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, შესძლებდნენ გამარჯვებას, მაშინ ჩვენთვის აშკარა იქნება ერთი რამ—ფრონტი ხელად დაირღვეოდა, ფრონტს გაუჩნდებოდა ზურგში დამრღვევი ძალა. ეს გამოიწვევდა არა სახელმწიფოებრივ ელემენტების ამოძრავებას აფხაზეთში, ხოლო რაც შეეხება ფოთს, საკმარისი იქნებოდა, თუნდ ც დროებით, ბოლშევიკურ დროშის აფრიალება, რომ მაშინვე შეიარაღებული სამხედრო ძალა ზღვიდგან დააგრეთვე ხმელეთიდან ჯარი დენიკინისა გამოლაშქრებული ჩვენს წინააღმდეგ, აეღოთ ის ადგილები, მიეღოთ ზომები რომ ჩვენი დამოუკიდებელ სახელმწიფოს ცხოვრესათვის ჩაეკათ ლახვარი გულში. ბოლშევიკური დროშა რომ ლპართულიყო სოხუმში და ფოთში ეს იქნებოდა ჩვენი სახელმწიფოს დასამარება თუ არა ყოველ შემთხვევაში ეს გამოსვლა მეტად გაუძნელებდა არსებობას ჩვენს რესპუბლიკას (გვაზავა: თქვენ რომელი დროშა გაქვთ?) ის დროშა, რომელიც მიიღო პარლამენტმა (ჯუღელი: წითელი დროშა). სახელმწიფოს, ბ. გვაზავა, აქვს ერთი დროშა (გვაზავა: სწორედ ეს გვინდა რომ ერთი დროშა ჰქონდეს). ასეთი იყო მდგომარეობა. მთავრობის განცხადებიდან თქვენ იცით, რომ ჩვენ წინასწარ გვქონდა შესაფერი ცნობები მიღებული და ამით აიხნება ჩვენს მიერ მიღებული ზომები და სწორედ მთავრობის მიერ მიღებულ ზომის წყალობით აიხსნება ის, რომ ვერც ერთ უმთავრეს ადგილში გამოსვლა ვერ მოახდინეს.

იყო დიდი მზადება თვით რესპუბლიკის მთავარ ქალაქში; მთავრობის და ადგილობრივ თვითმმართველობის მიერ მიღებულ ზომებით რამდენჯერმე ჩვენი მოწინააღმდეგების გეგმა ჩაფუშულ იქნა, შემდეგ, ჩვენ მოვალედ ვრაცხთ, განვაცხადოთ, რომ ის მზადება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფოთში, მეტის მეტად ფართე იყო და ამავე დროს ამ გამოსვლაში იყვნენ ჩათრეულნი ის ელემენტები, რომელნიც თავის მდგომარეობით, პირდაპირ უნდა ემსახურებოდენ სახელმწიფოს, განსაკუთრებით ჩათრეული იყო ფლოტი და თქვენ იცით, რომ ადგილობრივ თვითმმართველობის და ადმინისტრაციის მიერ მიღებულ ზომებით ეს გამოსვლა აცილებული იქნა. შემდეგ მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მზადდებოდა დიდი გამოსვლები თიანეთში, და იქ ადგილობრივ თვითმმართველობის მიერ მიღებულ ზომებით ჩაქრობილი იქნა და ყველა აგენტები ბოლშევიკებისა შეპყრობილი და აანაირად სახელმწიფოებრივი წესრიგი დაცულ იქნა.

შემდეგ, სწორედ ადგილობრივ თვითმართველობის, ადმინისტრაციის და სახალხო გვარდიის უნარს და ზრუნვას მიეწერება ის გარემოება, რომ თელავში არ იფეთქა გამოსვლამ, სადაც ეს ორჯერ იყო განზრახული და სადაც მეთაურნი შეპყრობილნი იქნენ.

ადგილობრივმა წარმომადგენლებმა, თვითმართველობამ, სახალხო გვარდიამ და ადმინისტრაციამ, იხსნეს თელავის მაზრა იმ გამოსვლებიდან, რომელთაც ადგილი ქონდათ სხვა კუთხეებში ჩვენი რესპუბლიკისა. თქვენ იცით, რომ მიუხედავად ჩვენ მიერ მიღებულ ზომებისა ზოგიერთ ადგილებში გამოსვლა მაინც მოხდა, და მოხდა სწორედ ისეთ ადგილას, სადაც ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელი იყო. როცა ამბოხების მეთაურნი დარწმუნდნენ, რომ უმთავრეს ადგილებში გავლენა არა აქვთ, და ვერ შეძლეს ამბოხების მოწყობა ასეთ ადგილებში, ყოველ შემთხვევაში ადვილად შეეძლოთ სხვა და სხვა ადგილებში რამოდენიმე სოფლების გამოყვანა მთავრობის წინააღმდეგ და მთელი მათი გამოსვლების ფაქტი ამ რამდენიმე სოფლის გამოსვლით გათავდა. იბადება კითხვა, რა გვაჩვენეს ამ გამოსვლებმა? რანაირი გაკვეთილი მიიღო არა მარტო მთავრობამ, არამედ მთელმა ჩვენმა რესპუბლიკამ? ჩვენ აქ გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ ერთად-ერთი შედეგი ამ გამოსვლისა არის შემდეგი: გამოსვლას ხალხი არ აჰყვა. ხალხი დემოკრატიულ წყობილების ერთგული დარჩა და ჩვენ სრული იმედი უნდა გვქონდეს, რომ შემდეგშიაც ასე დარჩება; და იმ ავანტიურისტებს, რომლებიც სხვა და სხვა სოფლებში დაძრწიან, ხალხი არ აჰყვება, ის არ უღალატებს იმ დემოკრატიულ გზას, რომელსაც მისდევს და ამით მისცემს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას საშუალებას განახორციელოს დაწყებული რეფორმა და ჩვენში განამტკიცოს დემოკრატიული წყობილება. ჩვენ სწორედ ასე ვფიქრობდით და ამ შემთხვევაში ჩვენი მოლოდინი სავსებით გამართლდა. ხალხი ვერ შეიქნებოდა მომხრე ამ ანარქიისა და ეს იმიტომ, რომ თუ ის გაყვებოდა ანარქიის გზას, ანარქიის ტალღები შეაჩერებდა აგრარულ რეფორმის სოფლად ცხოვრებაში გატარებას და მის დამთავრებას. და აი აქ არის, ბატონო ეროვ. დემოკრატებო, ახსნა (ასათიანი: ანარქიისა?) არა ანარქ ისა, რომელსაც ხელს უწყობენ ზოგიერთი ჯგუფები, არამედ ახ ნა იმ გარემოებისა, რომ ხალხი არ აჰყა, ვინაიდან ხალხმა იცოდა, რომ თუ ის გაჰყვებოდა ამ ანარქიის ტალღებს, ის დიდი ხნით და შეიძლება სამუდამოთაც დაასამარებდა ამ დიდი სოციალისტურ და რევოლიუციონურ რეფორმის განხორციელებას და ეს შეიქნებოდა საფუძველი რეაქციის გაძლიერებისა, და ის ხალხი, რომელიც წინააღმდეგი რეაქციისა, ვერ გაჰყვებოდა ამ ანარქიის მოციქულებს. ხალხმა იცოდა კიდევ ერთი რამ... (მაჭავარიანი ი. რა შუაშია ეს?) ეს იმ შუაშია, რომ ასეთი შეგნება, რომ არ ქონოდა ხალხს, ის მართლაც გაჰყვებოდა მათ, ვინც მუდამ ამ ანარქიისკენ მოუწოდებს. ეს ჯგუფები არიან არა მარტო მარცხნივ, მარჯვნივაც არიან და ამას ამტკიცებს მათი პრესა. ხალხმა ერთი რამ იცის, რომ ეს ანარქია შეაფერხებს ჩვენში საწარმოო ძალთა განვითარებას, გაამწვავებს ეკონომიურ მდგომარეობას, ეს უკანასკნელი კი გამოიწვევს სპეკულიაციას, ცხოვრების გაძვირების უფრო სწრაფ ზრდას და სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხალხმა ზურგი შეაქცია ანარქიის მოციქულებს და დარჩა ერთგული დემოკრატიულ წყობილებისა.

მე ვამბობ, ხალხმა გამოიჩინა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური სიმწიფე და ჩვენ იმედი გვაქვს ამ გზას შემდეგშიაც არ გადაუხვევს. დამფუძნებელ კრებისთვის საინტერესო არის ერთი რამ, შეუძლიან თუ არა მთავრობამ განაცხადოს, მოსალოდნელია თუ არა შემდეგშიაც ასეთი ექსპერიმენტები? და ჩვენ

უნდა ვთქვათ, თავშიაც მოგახსენეთ, რა დიდი მნიშვნელობას აძლევენ აზიურ კუთხეებს და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იმ აგენტთა შორის, რომელნიც აქ გამოგზავნეს, ცნობილნი მეთაურნი არიან ბოლშევიკურ რუსეთისა, და ეს ხალხი ასე ადვილად იარაღს არ დაჰყრის და მთავრობა ფიქრობს, რომ ეს ჯგუფი შემდეგშიაც განაგრძობს თავის ცდას გამოიწვიოს ანარქია.

ეს ავანტიურისტები თავის ექსპერიმენტებზე ხელს აიღებენ და სწორედ, რომ შემდეგშიაც ეს ნიადაგი აღკვეთილი იქნეს, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მიღებულ იქნას შესაფერი და სასტიკი ზომები. ჩვენ აქ მოგახსენებთ, რომ ამ ანტირესპუბლიკანურ და ანტისახელმწიფოებრივ ელემენტების მთავარ ლაშქარს წარმოადგენენ ყაჩაღები და ქურდ-ბაცაცები, მხოლო დიდი ნაწილი ამ ელემენტებისა, საზრდოობს დეზერტირობით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველ შემთხვევაში 2/3 ყაჩაღებისა, რომელნიც დაფრიალებენ ჩვენ სახელმწიფოში, შესდგება დეზერტირებისაგან, თამამად შეიძლე ითქვას, რომ დეზერტირობა არა მარტო ასაზრდოებს და აძლიერებს ყაჩაღებს, არამედ ასულდგმულებს იმ ელემენტებსაც, რომელნიც ილაშქრებენ ხმლით ხელში ჩვენ სახელმწიფოს წინააღმდეგ. და ამიტომ ბრძოლა ამ ელემენტების წინააღმდეგ არის ბრძოლა მიმართული ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცებისაკენ და იმ წყობილების განმტკიცებისაკენ, რომელსაც ვერავითარი ავანტიურისტული გამოსვლა ვერაფერს დააკლებს.

თავის თავად დეზერტირობა არა მარტო აძლიერებს ანარქიას, არამედ ნებით თუ უნებლიეთ ხელს უწყობს სახელმწიფოებრივ ღალატს, აძლიერებს იმ ელემენტებს, რომელნიც ამზადებენ ნიადაგს ჩვენი დამოუკიდებლობის, ჩვენი თავისუფლების მოსპობისა და რასაკვირველია, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს მათ წინააღმდეგ უსასტიკესი ზომები. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, თუ ჩვენ აზრს გაიზიარებს დამფუძნებელი კრება, თუ ადგილობრივი ელემენტები, ადგილობრივი თვითმართველობანი მგზავსად იმ ენერგიისა, რომელნიც მათ გამოიჩინეს ამ ავანტიურისტულ გამოსვლების ჩაქრობაში, შეეცდებიან ყოველ ძალღონით შეებრძოლონ იმ სენს, რომელიც ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას აფორიაქებს, შეეცდებიან, რომ ეს მთავარი სენი, რომელსაც სოფლის ცხოვრებაში არევ დარევა შეაქვს, ეს დეზერტირობა მოსპონ და ლიკვიდაცია უყონ ყველა იმ ელემენტებს, რომელნიც აძლიერებენ ყაჩაღობას და ქმნიან ანარქიას—ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, თუ ასეთი ზომების მიღებაში, ჩვენთან იქნება არა მარტო დამფუძნებელი კრება, არამედ ადგილობრივი თვითმართველობანიც—ჩვენ მივაღწევთ მიზანს და ამით მოჭრილი იქნება ის ხე, რომელზედაც სხედან ანტირესპუბლიკანური ელემენტები, რომელნიც ამზადებენ ახალ ავანტიურისტულ გამოსვლებს. შემდეგ, მე თქვენ მოგახსენებთ, რომ იმ ორივე რაზმს, რომელნიც უცხო სახელმწიფოებიდან ჩვენში იჭრებიან და ცდილობენ ანარქიის გაძლიერებას, არა აქვთ ფესვები ადგილობრივ ცხოვრებაში, ისინი არ არიან შეკავშირებულნი, შესისხლხორცებულნი იმ ელემენტებთან, რომელნიც შეადგენენ საფუძველს ჩვენ სახელმწიფოებრივ ცხოვრების, მაგრამ ჩვენ სახელმწიფოს ფარგლებში იმყოფებიან ისეთი ელემენტები, რომელნიც მათ ზურგს უმაგრებენ და ქმნიან ანტირესპუბლიკურ ატმოსფერას და აადვილებენ ასეთ გამოსვლებს. ჩვენ მიზნად ვისახავთ ასეთ ელემენტებისაგან სახელმწიფოს საზღვრების გაწმენდას (ტაში ერ.-დემ. სკამებზე). ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სწორეთ ის უცხო ელემენტები, რომელნიც აქ რჩებიან არა იმიტომ, რომ მიიღონ მონაწილეობა საწარმოო ცხოვრების განვითარებაში, რომელნიც რჩებიან არა იმიტომ, რომ საერთოდ ხელი შეუწყონ ჩვენ კულტურულ წინსვლას, არამედ იმიტომ, რომ დრო იხელთონ ანარქია გააძლიერონ და მოამზადონ ნიადაგი უცხო ძალების შემოჭრისათვის. როცა ასეთ ელემენტებს მოვსპობთ, მაშინ აღკვეთილი იქნება ყოველგვარი საშუალება ამ ელემენტის უცხო ძალის გამოსვლისათვის, რომელზედაც მოგახსენეთ.

და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ შემთხვევაში იმ გზას, რომელსაც ადგია მთავრობა, გაიზიარებს დამფუძნებელი კრება, რომელიც მიიღებს ჩვენთან ერთად ზომებს იმ მუხანათურ საქციელის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებენ ის უცხო ძალები, რომელნიც ემუქრებიან სახელმწიფოს ხმლით ხელში და იმავე დროს აძლიერებენ ანარქიას; ჩვენ დარწმუნებული ვართ, დამფუძნებელი კრება და მთელი დემოკრატია მიზნათ დაისახავს მთავრობას ხელი შეუწყოს და როცა მართლა და მტკიცდება ისეთი ურთი-ერთობა, რომელიც აუცილებელი არის და როცა ამ ზომებს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის მხარს დაუჭერს მთელი საზოგადოება, ამით მოსპობილი იქნება ნიადაგი გამოსვლებისა და ამით განმტკიცდება ის აუცილებელი სახელმწიფოებრივი წესრიგი, რომელიც საჭირო არის მისი კულტურული წინსვლის და განვითარებისათვის მე დარწმუნებული ვარ, რომ ის გზა, რომელსაც მისდევს ჩვენი მთავრობა, არის გზა მთელი ჩვენი ხალხისა.

## ქართული ლატარია.

კვირას, სახელმწიფო თეატრში დაიწყო ქართული ლატარიის გათამაშება. ლატარიის გათამაშებას მრავალი ხალხი დაესწრო, სხდომა დაიწყო სიტყვით პროფ. ივ. ჯავახიშვილმა,—პირველ ბილეთებს ხსნიდა ბ-ნი ნოე რამიშვილი. დიდ მოგებიანი ამოვიდა 25000 მან. მოგება, ლატარიის გათამაშება გუშინაც გრძელდებოდა, საბოლოო შედეგი ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება.

## მუნიციპალური ცხოვრება.

**სავალდებულო დადგენილება სასტუმროების გახსნის და მათი სარგებლობის შესახებ.**

მიღებულ სამტრ. ქალაქის საბჭოს მიერ 15 სექტემბერ. 1919 წ. სხდ. № 18 მუხლი 4 პუნქტი ბ.

1. სასტუმროს გახსნის ნებართვა ეძლევა მას შემდეგ, როცა შენობა დათვალიერებული იქნება სატეხნიკო-სასანიტარო კომისიის მიერ.

2. სასტუმროს ყველა ოთახები: კორიდორები, სამზარეულო, საპადილო და სხვა უნდა იყვნენ სუფთად შენახული. ოთახების გაწმენდა უნდა ხდებოდეს სოველი ტილოთი, რომ შიგ მტვერი არ დადგეს. ორი კვირაში ერთხელ, გამზეურებული უნდა იქნას ყველა სასტუმროს ავეჯეულობა როგორიცაა: ლებები, საბნები, ბალიშები და სხვა.

3. ლოგინის საცვლები: ზეწრები, ბალიშების პირები, მაგიდის საფრები და სხვა, თუ ისინი ერთხელ იყვნენ ხმარებაში, ახალ სტუმარს არ უნდა დაეგოს გაურეცხავი.

4. ლოგინის ახლად გაწყობა უნდა ხდებოდეს სტუმრის წინაშე, რომ ის დარწმუნდეს საგების სისუფთავეში.

5. ოთახები უნდა ნიავდებოდეს ყოველ დღე, რომ შიგ მყრალი და დახშული სუნი არ იდგეს.

6. ფეხის ალაგი უნდა იყოს სუფთად შენახული, სინათლიანი, ვინტილიაციით და კარბოლოეს სიმჟავით მოსხმული.

7. სასტუმრო ღამით უნდა იყოს კარგათ განათებული.

8. ოთახის ფასი უნდა იყოს ყოველ ოთახში გაკრული.

9. სასტუმროს მეპატრონე ვალდებულია აცნობოს სანიტარულ ექიმს თუ შიგ ვინმე სნეული გადამდებ სენით არის ავათ.

10. აუცილებლივ უნდა ხდებოდეს ყველა მოსულ და წასულ პირთა რეგისტრაცია ამისათვის განსაკუთრებულ წიგნში.

11. ეს სავალდებულო დადგენილება უნდა იყოს ყოველ ოთახში გამოჩენილ ადგილას გამოკრული.

12. დამრღვევნი ამ სავალდებულო დადგენილებისა დასჯილნი იქნებიან სასჯელთა დებულების მე-29 სტ. ძალით, რომელსაც ადებს მომრიგებელი მოსამართლე.

13. ამ სავალდებულო დადგენილების თვალყურის დევნება ევალება ქალაქის მილიციას და სანიტარულ ექიმს.

**სავალდებულო დადგენილება მოხეტიალე პირუტყვთა წინააღმდეგ ზომების შესახებ.**

მიღებული სამტრედიის ქალაქის საბჭოს მიერ 15 სექტემბერს 1219 წ. სხდ. № 18 მუხ. 3.

1. მცხოვრებთ ეკრძალებათ—ღორები და სხვა პირუტყვნი და აგრეთვე მფრინველნი ქუჩაში სახეტიალოთ გამოუშვან.

2. ეკრძალებათ აგრეთვე მცხოვრებთ ქალაქის მოედნებზე, ბაღებსა და შეუკავებელ მიწებზე სახეტიალოთ გაუშვან ღორები, პირუტყვები და ფრინველები.

3. მოხეტიალე პირუტყვი დაჭერილი იქნება. ერთი და იგივე პირუტყვი ორჯერ დაჭერის შემდეგ ჩამოერთმევა პატრონებს (კონფისკაცია ეყოფა) და გაიყიდება საჯაროვაჭრობით. ფული კი გადავა ქალაქის კასაში.

**შენიშვნა:** გარდა ამისა დამნაშავეს გადახდება მავნებლობა და ზარალი ამ წესის დარღვევის გამო რაც იქნება გამოწვეული. დაჭერისათვის მეპატრონით გადახდებათ: თითო ოთხ ფეხ პირუტყვზე 10 მან. და ფრინველისათვის 2 მან. დღის ხარჯათ კი მოვლა-შენახვისათვის თითო პირუტყვზე დღეში 10 მ. და ფრინველზე კი 2 მ.

4. დამრღვევნი ამ დადგენილების პირველ მუხლისა, ისჯებიან მე-55 სტ. ხოლო მეორე მუხლისა მე-29 სტ. სასჯელთა დებულებისა, რომელსაც ადებს მომრიგებელი მოსამართლე.

## ერობა და სკოლის გარე განათლება.

6.

(დასასრული)

ამნაირად ჩვენ დავინახეთ, თუ რამდენ საშუალებას ხმარობდა რუსეთის ერობა სკოლის გარეშე განათლების გავრცელების საქმეში. ამასთანავე ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მისი მოღვაწეობის ასპარეზი აურაცხელის ნარ-ეკლით იყო მოფენილი: რუსეთის პოლიცია გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ერობას ყოველ ფეხის გადადგმაზე ავიწროებდა მას. ვინ არ იცის, თუ რამდენი სიძნელე იყო გადასალახავი ბიბლიოთეკის გახსნის მოსაგვარებლად, ლექციის წასაკითხავად ნებართვის ასაღებად, წარმოდგენის მოსაწყობად და სხვ. ყველაფერზე ნებართვა იყო საჭირო, კეთილსაიმედობის მოწმობა და სხვა. მთელი თვეები და ხშირად წლები უნდა გეტარებიათ ფარალო სამკითხველოს გასახსნელად ნებართვის მიღებაში. კერძო ინიციატივა საეჭვოდ იყო გამოცხადებული, ყველას უნდოდ უყურებდენ, გულში ხელს აფათურებდენ, ფარულ განზრახვებს ეძებდენ. ერთის სიტყვით, ნიკოლოზის მთავრობა ყოველღონისძიებას მიმართავდა, რომ რაიმე ნაირად სახალხო განათლების საქმე შეფერხებულიყო და მდაბიო ხალხი ბნელში ყოფილიყო. უვიცობა და ბნელეთი, აი რაზე იყო დაყრდნობილი ძველი რეჟიმი. კარგად ხედავდა ერობა ყოველივე ამას და თავიბურ ბრძოლას აწარმოებდა. მიუხედავად ათას გვარ დაბრკოლებისა ლექციას მოაწყობდა, იქ საკვირაო სკოლას გახსნიდა, მესამე ადგილს წარმოდგენას გამართავდა, მეოთხეს კიდევ წიგნსავრცელებდა.

დღეს, როდესაც ყოველგვარის თავისუფლებით ვსარგებლობთ, რასაკვირველია, პატარა საქმეთ მოგვეჩვენება რომელიმე სოფელში სამკითხველოს გახსნა და სხვა ასეთები, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ერთ დროს ყოველივე ამას მნიშვნელობა ჰქონდა, მოიგონეთ გუშინდელი ჩვენი მდგომარეობა, არც ისე დიდის მანძილით დავშორებივართ იმ შავბნელ დროს, დიახ, გაუვალის ბილიკებით და ეკლებიანის გზით ვიდოდა რუსეთში სახალხო განათლება, მაგრამ ბოლოს ყოველივე დაბრკოლება დაძლეული იქნა და დღეს ყველა დარგში სრულის თავისუფლებით შეგვიძლიან ვიმოქმედოთ. არა თუ ხელს დაგვიშლის დღეს ვინმე და წინ გადაგვეღობა განათლების საქმეში, არამედ ყოველის საშუალებით მოგვეხმარებიან და მადლობასაც გვეტყვიან. იყოს მხოლოდ საქმისა მი სიყვარული და დაუშრეტელი ენერგია. სამოქმედო ასპარეზი გაშლილია, სამკალი აუარებელია და თუ ვინმეს ოდნავად მაინც კი შესტკივა საზოგადო საქმისთვის გული, დღეს თავისუფლად შეუძლიან ემსახუროს თავის მიზანს. იმედია ჩვენი ახალგაზდა ერობა შესაფერად ისარგებლებს რუსეთის მაგალითით და შესაფერად გამოიყენებს ყველა იმ საშუალებებს, რომელთაც იქ მიმართავდენ განათლების საქმეში.

დასასრულ მინდა შევეხო სახალხო სახლების აგების იდეასაც. სახალხო სახლები, რომელთა რიცხვი არც ისე დიდი ჰქონდათ რუსეთის ერობებს, ერთგვარი დაგვირგვინებაა სკოლის გარე განათლებისა, იქ, სახლების აგება მოხერხდა, დიდი კულტურული საქმე დაგვირგვინდა და დაფუძნდა სამუდამოდ. სახალხო სახლი ერთგვარი სასოფლო უნივერსიტეტია; აქ არის მოთავსებული: სამკითხველო-წიგნების მაღაზია, სცენა, საკვირაო სკოლა, სალექციო ზალა და სხვ. მთელი სოფლის გონებრივი ცენტრი აქ არის: აქედან იძენს მდაბიო ხალხი მეცნიერულ ცოდნას პრაქტიკულ ცხოვრების გასაუმჯობესებლად, აქ პოულობს იგი სხვა და სხვა გონიერ და კულტურულ გასართობებს. სახალხო სახლის სადმე აგება დიდ და ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად ითვლებოდა ძველი რეჟიმის დროს და ახლაც დიდ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ მას. ჩვენი სახალხო მოღვაწეებისთვის უცხო არ არის ეს იდეა, ქართველ დემოკრატიას დიდი ღვაწლი მიუძღვის თვით-განვითარების საქმეში, ის თუმც მოკლებული იყო თვითმართველობის ორგანოებს და რუსეთის მახინჯი ერობაც კი ენატრებოდა, მაგრამ ის მაინც შეუდრეკლად მუშაობდა განათლების ასპარეზზე: აარსებდა სკოლებს, ბიბლიოთეკებს, სცენებს და სხვ. ზოგან სახალხო სახლებიც კი ააგო. ერთის სიტყვით ჩვენ ბევრი რამ გაგვიკეთებია ამ დარგში, რუსეთის ერობებზე მეტი თვითმოქმედებაც კი გამოვიჩინეთ და საკმაო გამოცდილება მოვიპოვეთ. დღეს საჭიროა მხოლოდ ერთგვარი ორგანიზაციული მოქმედება და განსაზღვრულის გეგმით მუშაობა. იმედია ჩვენი დემოკრატიული ერობა ენერგიულად შეუდგება ამ საქმეს და მიზანსაც მიაღწევს.

**ვარლამ ხუროძე**

## უცხოეთი

(საქართველოს დეპ. სააგენტო)

**სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლის შტაბის ოფიციალური ცნობა.**

**ტაგანროგი**, 21 ოქტ. (ძვ. სტ.) ასტრახანის მიმართ: ზღვის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. მკაცრი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგემ ჩვენ ჯარებს სოლენოე-ზაიმიცე დაატოვებინა. კამიშინის მიმართ. ლოზნოე-პოპოვპესჩანსკის ხაზზე მტერი ჩვენი მოწინავე ნაწილების უკან დახევას სცდილობდა, მაგრამ მტერი დავამარცხეთ და მდგომარეობა აღვადგინეთ ბალაშოვის მიმართ. მდ. მედვედიცას შესართავის რაიონის აღმოსავლეთით მტერმა აიღო კლეტსკოე, პოჩტოვსკი და ზიმნიაცკი; ჩვენმა ჯარმა ხოპერისკენ დაიხია. სად. ანინსკაიას სამხრეთით ჩვენ დონის ნაწილები მტერმა ფრთებიდან შემოუარა, რის გამოც ანდრეევსკ-სატარივის ფრონტზე დაიხია. ნოვოხოპერსკის ჩრდილო აღმოსავლეთით გენ. კონოვალოვის ცხენოსანმა ჯარმა ოქტომბრის 15 ს. ოვაროვსკის რაიონში დაამარცხა საბჭოთა 2 პოლკი და საარიერგარდო რაზმი. წამოიყვანა 1700 ტყვე და ხელთ იგდო 6 ზარბაზანი და 16 ტყვიის მფრქვეველი, სულ კი დღის განმავლობაში ოქტომბრის 15 წ. წამოიყვანა 3000 ტყვე და ხელთ იგდო 16 ზარბაზანი და 80 ტყვიის სფრქვეველი. ვორონეჟს მიმართ. ბობროვის და ლისკის ჩრდილოეთით მდგომარეობა უცვლელია. ვორონეჟის დასავლეთიდან ახალი ცნობები არ მოსულა. ორლოვის მიმართ: ელეციდან რკინის გზის გასწვრივ სამხრეთისკენ მოწინააღმდეგე წინ მოიწევს, ჩვენი ჯარი მას აკავებს. ორიოლის და კრომის რაიონში მკაცრი ბრძოლები გრძელდება. ბრიანსკის მიმართ: დმიტროვსკის სამხრეთით ბრიანსკ-ბობროვის ხაზზე ბრძოლაა. გომელის მიმართ: მდ. დესნაზე სროლაა. ჩერნიგოვის მიმართ: მოწინავე ნაწილების შეტაკებებია. ფასტოვისკენ ჩვენი ჯარი წინ მიიწევს, წითლების წინააღმდეგობა სძლია და დეპო დაიჭირა. ბრძოლა გრძელდება. მოგილოვის მხრიდან ცნობები არ მოსულა.

**მოსკოვი**, ნოემბ. 1. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულე-

ტენი. № ის არმიის შტაბი, ნოემბ. 1. ლუგის ბლების დროს ალსანიშნავია ჩვენი ერთი რო ტის გმირული მოქმედება, რომელმაც მტრის 2 პოლკი დაამარცხა და ქალაქში შეიჭრა. როტამ წამოიყვანა 250 ტყვე და ხელთ იგო 17 ტყვიის მფრქვეველი. თავზარ დაცემულმა მტერმა დაიხია.

ლატვიის მენშევიკები მთავრობისაგან მოითხოვენ დაუყონებლივ ზავით შეეკრას საბჭოთა რუსეთს და ყველა პოლიტიკური პატიმარი გაანთავისუფლოს.

**გომელი.** ოქტ. 31. კიევიდან ჩამოსული ამხანაგი გადმოგვცემს, რომ იქ მდგარი „ველური დივიზია". სცარცვავს და ხოცავს ებრაელებს. ვერავინ ბედავს ქუჩაში გამოსვლას, სადაც გაფანტულია საქონელი და სახლის ავეჯეულობა. განაპირა უბნებში ყოველ დღე სცარცვავენ ღარიბ ებრაელებს.

**მოსკოვი,** ნოემბ. 1. საბჭოთა რუსეთის ბლოკადის გამო პროტესტის ნიშნათ საფრანგეთის 27 და ელზას ლორენის პროფეს. კავშირი მუშებს საყოველთაო გაფიცვისკენ მოუწოდებს.

ბისტრიცაში და ჩეხიის სხვა ქალაქებში სამხედრო ნაწილებში დიდი არეულობა მოხდა. ჯარისკაცებმა სარდლები გარეკეს და მთავრობას მოსთხოვეს: მასარიკის დიქტატურის გაუქმება, ქარხნების სოციალიზაციის და მიწის რეფორმის განხორციელება.

ლიუბლინის, პლოცკის და ლოძის გუბერნიის ნაწილებში დიდი გაფიცვებია. გაფიცულებს და პოლიციის შორის სისხლის ღვრა მოხდა. კიევის, პოლტავის, ეკატერინოსლავის და ჩერნიგოვის გუბერნიებს დენიკინის საწინააღმდეგო აჯანყება მოედო. აჯანყება დონისა და ყუბანის ოლქშია იწყება. პოლონური ბურჟუაზიული გ. „კურიერ პოლსკი" ს ცნობით, აჯანყებულებმა ეკატერინოდარი და ნოვოროსიისკი აიღეს. აჯანყებულებს ნავთსადგურის მუშები მიემხრენ. მიუხედავათ მუქარისა აჯანყებულები არ ნებდებიან. ტობოლის და ენისეის გუბ. და ალტაის ოლქში კოლჩაკის მიერ ძალით გაწვეულები ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლაზე უარს აცხადებენ. მრავალი გადმოდის ჩვენ მხარეზე. პოლონელების მიერ დაჭერილ ადგილებში გლეხების აჯანყება ძლიერდება.

### პეტროგრადის ფრონტი.

**პეტროგრადი,** ნოემბ. 1. ამხანაგი პეტერსი იუწყება: პეტროგრადთან ჩვენმა ჯარმა გამოიჩინა სიმტკიცე, გამბედაობა და გმირობა, გაკვირვებაში მოდიხარ, როდესაც რამდენიმე დღის წინად შედგენილმა ნაწილებმა ასეთი სიმტკიცე გამოიჩინეს. მტერმა პეტროგრადთან საუკეთესო ძალები მოკრიბა. აქ იბრძოდა ბულაკ ბულაკოვიჩის რაზმები, რომელნიც ჩვენ გავანადგურეთ, აქვე იბრძოდა ბრწყინვალე თავად ლივენის რაზმი, რომელიც ეხლა უკვე განადგურებულია, გარდა ლივენის დივიზიისა მთელი იუდენიჩის და როძიანკოს არმია დამარცხდა. იუდენიჩი ომში იწვევს თავის უკანასკნელ ძალას. ჩვენი მიზანია არა მარტო დამარცხება, არამედ საბოლოოდ მოსპობა სხვა და სხვა ბარონებისა და თავადებისა, რომლითგანაც შესდგება თეთრი არმია.

## შესწორება

ტფილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობის განცხადებაში, რომელიც დაბეჭდილი იყო „საქ. რესპ." № 247 შემდეგი შესწორებაა შესატანი: მეოთხე გვერდზე მესამე სვეტში, ქ. ტფილისის განცხადებათა მეორე აბზაცში განცხადება აბრამიშვილის შესახებ ზედმეტია; მეექვს აბზაცში სწერია: არაქელოვა,—უნდა იყოს: არეშოვა. მეოთხე სვეტში განცხადების მეოთხე აბზაცში სწერია: გიგიბერია სილოვან სემეფის ძე,—უნდა იყოს: სვიმონის ძე.

მეხუთე გვერდზე პირველ სვეტში, მეოთხე აბზაცში ქვემოდან დაბეჭდილია: მაშადი ბაბა, უნდა იყოს: მაშადი ალა-ბაბა: მეორე აბზაცში: ზომით, 593,31,—უნდა იყოს: 59,31, უკანასკნელში: მელიქ-ნუბაროვი სემირალი, უნდა იყოს: მელიქ ნუბაროვი სემირამიდა. ამავე გვერდზე, მეორე სვეტში, მესამე აბზაცში მე-5 სტრიქონზე სწერია: ნამდვილათ 501,7,—უნდა იყოს: 511,7. მეხუთე აბზაცში, მე-2 სტრ. სწერია: 22,7,77,—უნდა იყოს: 277,77. მეხუთე აბზაცში ქვემოდან: სწერია: სოკოლოვი მალაქია,—უნდა იყოს: სოკოლოვი მალალეინ, მეოთხე აბზაცშიც ასე უნდა იყოს უკანასკნელ აბზაცში, მე-3 სტრ. სწერია: 8867 ოთხ. საჟ., უნდა იყოს: 867 ოთხ. საჟ. მესამე სვეტში, პირველ აბზაცში, მე-4 სტრ. სწერია: ვალი 259,386 მან., უნდა იყოს: 295,386; მეხუთე აბზაცში, ვალი 2904 მ. უნდა იყოს: 29041 მ. მერვე აბზაცში: ციციანოვები პავლე და დიმიტრი პავლეს ძენი, უნდა იყოს: დავითის ძენი. მეორე აბზაცში ქვემოდან, სწერია: შროიანცი, უნდა იყოს: შხიანცი.

## განცხადებანი

ისაკ ტერ-ანტონოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, სამხედრო სამს. განთავისუფლების მიღებული ტფილისის სამხედრო საკრებულოდან. მოწმობა გაუქმებულათ ითვლება. 47 3—1

ალი მურად ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტაგო რუხის სოფლის სამართვ. (ერევ. გუბ.) პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 22 3—1

ნიკოლოზ პეტრეს ძე კურრეტოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ტფილისის სამმართველოდან, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 38 3—2

სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორა აცხადებს, რომ ხსენებული № 52581 სარანჩოვას სახელზე, დაკარგულია, და თუ ის არ იქნა წარმოდგენილი ბანკის კანტორაში ორი კვირის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან, გაუქმებულათ ჩაითვლება და პატრონზ ახალი მიეცემა. 6 1—1

არშაკ მიხეილის ძე არზუმანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვექილობა, მიცემული მისთვის ბოგდან რომანის ძე არზუმანოვის მიერ გამოცხადებული ტფილისას ნოტარიუს ა. ი. კარაკაშის კანტორაში 18 თებერვალს 1919 წ. რეესტრით № 561, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1919 წ. 3 ნოემბერს 53 3-1

აქციზის სამმართველო ამით აცხადებს, რომ არშაკ არტემის ძე ანდრიასოვს, პაპიროზის ქაღალდის ქარხნის პატრონს ქ. ტფილისში მე 4 საკომისარო უბანში სიონის ქ. № 1 დაკარგვია ტფილისის სახელმწიფო ხაზინიდგან პაპიროზის ქაღალდის ბანდეროლების გამოტანის ნებართვის მოწმობა 6904 №-ით 17 ენკენისთვიდან ა. წ. ეს მოწმობა ამიერიდან ითვლება გაბათილებულათ, რის მაგივრადაც მიეცა ალი 43 1—1

ქ. ტფილისის მე7 უბნის ბოქაული სვიატადუხოვი ამით აცხადებს, რომ 1919 წ. ნოემბრის 21-ს, დილის 10 საათზე დანიშნულია ვაჭრობა პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკის უძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს ორ სპარსულ ხალიჩას, ზომით 3×2 არშ. შეფასებულია 650 მ. ვაჭროაა მოხდება ქ. ტფილისის მე 10 უბ., კრილ. ქ., №10. 42 1—1

ქ. ტფილისის მე-7 უბნის ბოქაული სვიატოდუხოვი ამით აცხადებს, რომ 1919 წ. ნოემბრის 14-ს დილის 10 საათ. დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იოანე ბოკერიას მოძრავ ქონებაზე. ქონება აწერილია სოფიო ბოკერიას ვალის გამო და შეიცავს კბილის საექიმო კაბინეთის ტეხნიკურ საგნებს შეფასებულს 2215 მან. ვაჭრობა მოხდება ქ. ტფილისის მე-9 უბ. ტურგენევის ქ., №4. 40 1–1

ბარბარე ივანეს ასული ხუბაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, მიცემული მის ქმარზე იოსებ ლუარსაბის ძე ხუბაშვილზე ტფილ. ოლქ. სას. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1913 წ. აპრილის 10-ს, რეესტრი № 1036. 18 3—1

დაკარგულია ქ. ნოვოროსიისკის პოლიციის სამმართველოდან, აღებული პასპორტი № 286 სამსონ დავითის ძე ბახტაძის მიერ, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 36 3—2

მიხრან არტემის ძე კარაბ-ოღლი აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 10552, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 37 3—2

ქართული აქციონერული საზოგადოება „ოქროს ვერძი" ს გამგეობა ამით აცხადებს, წესდების §9 ძალით, რომ მის მიერ 1918 წლის 7 ივნისის თარიღით ბესარიონ (კოწია) დათეშიძეზე გაცემული დროებითი კვიტანცია № 49 (წიგნი № 2) ვადაში კვიტანციის პატრონზე დარჩენილი ფულების შემოუტანებლობის გამო გაუქმებულად ითვლება კანონიერი შედეგებით, 35 3—2

ლევანი სამსონის ძე აბაშიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა ტფილისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან მიცემული. 48 3—1

ნიკოლოზ სულხანიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 20 3—1

ივანე იაკოფის ძე ქიტიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან და სოც. რევოლიუც. პარტიის საწევრო წიგნაკი. გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 39 3—2

დაკარგულია უვადო პასპორტი, მიღებული ფერგანიის მაზრაში (ციმბირში). მაზრის უფროსისგან № 258. ივანე ალექსანდრეს ძე ლომსაძის სახელზე მპოვნელს ვსთხოვ დამიბრუნოს მივცემ ჯილდოს. ჩემი მისამართი: გაბაანთ შესახვევი № 5. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვლება. 32 3—2

დაკარგულია სამოქალაქო პროფესიონალური ხელოსა საქმის სასწავლებლიდან აღებული მოწმობა ნინო არჯევანის ასულის ანანოვის მიერ მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს პატრონს შემდეგი მისამართით: არაევის ქუჩა № 25 ნინო ანანოვს (ჩაუსოვს). 19 3—2

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველოდან თანახმად რაფიელ ელოს ძე ციციაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი რომელიც მას ჰქონია მიღებული ქუთაისის მილიციის სამმართველოდან და წლოვანობის მეტრიკა, მიცემული ქალაქის თვითმართველობისიგან, სთხოვს მნახველებს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოშიდ ჩასაბარებლათ კუთვნილისამებრ. 53 3—2

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო თანახმად ნიკოლოზ მდივნის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც მას ჰქონია მიღებული 25 თებერვალს 1919 წ. სთხოვს მნახველებს აღნიშნული მოწმობისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოშიდ, ჩასაბარებლათ კუთვნილისამებრ. 54 3—2

გიორგი სარიდონის ძე მაკარაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 33—3—2

ქ. სურამში დამეკარგა უვადო პასპორტი, მიღებული გორის მაზრის სამმართველოდან. ვსთხოვ მპოვნელს დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ქ. სურამი. ესტატე დიმიტრის ძე ლომსაძე. (უ)

სერგო ნიკოლოზის ძე თოხაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი №904, დათეოფილე ჩირაკაძის № 10, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1594 3—3

მეთოდე ისიდორეს ძე არჩუაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიცემული ხრეითის კომისიის მიერ, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 7 3—3

არტემ გრიგოლის ძე ბეგლაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილისის მაზრის სამხედრო უფროსისგან 11/II 1919 № 1271 გაუქმებულათ ჩაითვალოს. 13 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში კაპიტანმა გიორგი მიხეილის ძე ქავთარაძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ალექსანდრა გრიგოლ ლარიონოვის ასული ქავთარაძისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1914 წ. 20 თიბათვეს უკვალოდ დაიკარგა 1916 წ., მაისში, რის გამო აღნიშნული გიორგი მიხეილის ძე ქავთარაძე თხოულობს მისგან გაქორწინებას: ყველა ვინც კი იცის დაკარგულ ალექსანდრა გრიგოლ ლარიონოვის ასულ ქავთარაძის მისამართი ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 23 2—3

დავკარგე პასპორტი მოცემული რაჭის მაზრის სოფ. ამბროლაურის კომისარისგან ერთი წლის ვადით. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით, ლაბორატორიის ქუჩა № 7. წინააღმდეგ შემთხვევაში პასპორტს ვაცხადებ გაუქმებულათ. ილარიონ იოსების ძე კობახიძე. 28 3—3

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო 1919 წ. 15 ოქტომბერს დადგენილების თანახმად სამხედრო სამოსამართლო წესდების 951 მუხლის ეძებს პირველ შავი ზღვის სანაპირო რაზმის ჯარის კაცს ვლადიმერ ჯალაღანიას, რომელსაც ბრალი ედება 1 ნ. 160 მუხ. XXII წიგნ. ს. დ. კ. 1869 წ. მე-4 გამოცემით. ყველა ვინც იცის სად იმყოფება ჯალაგანია ვალდებული არის განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში, ოლღას ქუჩა № 48 8 3—3

პლატონ იოსების ძე ცანავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 1. დროებით აქცია, №1135 მიცემული ამიერ კავკასიის ბანკიდან 2. პირადობის მოწმობა, 3.900 მან. ფული მპოვნელს თხოვს მოწმობები დაუბრონოს და ფული დაიტოვოს. მისამართი: კათოლიკის ქ., № 3. 21 3—3

ინჟ. მ. ზ. შალიავსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 14334, მიღებული 1914 წ. ნოემბრის 24-ს მოსკოვის ქ. უფროსისგან.

## საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა.

ამით აცხადებს საქოველთაოდ, რომ ა/წ 16 ნოემბერს დილის 10 საათიდან ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ბაგაჟი: ზესტაფონიდან—ტფილისი, რიგ. № 598—სატვ. ბარ. № 272749—1 ც. წონ.—3 ფ. 10 გ. ჭიათურიდან—ტფილისი, რიგ. № 594. სატ. ბარ. № 289715—1—25 გ. აბაშიდან—ხაშური, რიგ. № 595 სატვ. ბარ. № 36725 2 ც.—4 ფ. 14 გ. ხაშურიდან—ტფილისი რიგ. № 597—სატვ. ბარ №92763 1 ც.—9 ფ. ფოთიდან—ტფილისი, რიგი № 588, სატვ. ბარ. № 59380, 1 ც. 1 გ., ფოთიდან—ტფილისი, რიგი № 587 სატვ. ბარ. № 59379, 1 ც. 2 გ., ფოთიდან—ტფილისი, რიგი № № 586, 585-584 და 589, სატვ. ბარ. № 59378, 1 ც. 1 გ. 59377, 1 ც 4 გ. 59381, 1 ც. 4 გ. 59382, 1 ც. 2 გ. ჭიათურიდან—ტფილისი, რიგი № 591, სატვ. ბარ. № 289997, 1 ც. 3 ფ. 15 გ., სანაინი, რიგი № 587, სატვ. ბარ. № 50117, 1 ც. 4 ფ. ქუთაისიდან—სანაინი, რიგი № 570, სატვ. ბარ. № 61788, 1 ც. 35 გირ., აჯამეთიდან—სანაინი, რიგი № 569, სატვ. ბარ. № 106577, 1 ც. 1 ფ. 10 გ., ქარელიდან—სანაინი, რიგი № 572, სატვ. ბარ. № 15961, 1 ც. 3 ფ. 8 გ. 67 3—2

სტამბა საქართველოს მთავრობის.

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე